ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა N09

2018 წლის 29 იანვარი
ქ.ქობულეთი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №466 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამაში“ ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“-ს 63-ე მუხლისა და ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 22 იანვრის N01/527 მომართვის შესაბამისად:

1. შევიდეს ცვლილება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2017 წლის 28 დეკემბრის №466 განკარგულებით დამტკიცებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე „ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამაში“ თანახმად დანართისა;

2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომისიის თავმჯდომარეს (დ.წულუკიძე);

3. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს ერთი თვის ვადაში ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ. ბათუმი, ზუბალაშვილის ქ.№30);

4. განკარგულება ამოქმედდეს ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 29 იანვრის N03 დადგენილებით დამტკიცებული ბიუჯეტის ცვლილებების ძალაში შესვლისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე — დ.მჭედლიშვილი

ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიის

პროგრამა

2018 წელი

ზომის ერთეული - ლარი

1. პროგრამის სახელწოდება:

ყოველ მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარების პროგრამა

2. პროგრამის დაწყებისა და დამთავრების თარიღი: **1** იანვარი **2018** წელი

31 დეკემბერი **2018** წელი

3. პროგრამის მთლიანი ბიუჯეტი:

80 300 (ოთხმოცი ათას სამასი) ლარი

4. პროგრამის დაფინანსების წყაროები:

ა) ძირითადი _ ადგილობრივი ბიუჯეტი 80 300 ლარი

ბ) დამატებითი _ 0 ლარი

5. პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელი ორგანო:

მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური

6. პრობლემის აღწერა და მისი აქტუალობის დასაბუთება ან/ და ნორმატიული აქტი, რომლის საფუძველზეც დგება პროგრამა.

პროგრამა ითვალისწინებს ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დემოგრაფიული ფონის გაჯანსღებისათვის მიმართული აქციების განხორციელებას, მე-3, მე-4, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებისას მატერიალური დახმარების გაწევას. მე-3 შვილის დაბადებისას 500 ლარი, მე-4 შვილის დაბადებისას 700 ლარი, მე-5 და მომდევნო შვილის დაბადებისას 900 ლარი.

ანალოგიური პროგრამა ხორციელდებოდა 2008-2017 წლებში.

7. მიზნები და მათი მიღწევის შეფასების ინდიკატორები:

№	პროგრამის მიზნები	მიზნების მიღწევის შეფასების ინდიკატორები

1	პროგრამის მიზანია დახმარების გაწევა იმ ოჯახებისათვის, რომლებშიც დაიბადება მე-3, მე-4 მე-5 და მეტი შვილი. მათთვის მორალური და მატერიალური მხარდაჭერა	პროგრამით გათვალისწინებული დახმარების ბენეფიციარზე გაცემის მაჩვენებელი
	სტიმულის მიცემა	ბენეფიციართა კმაყოფილების დონის გაზრდა

8. პროგრამის სამოქმედო გეგმა დასახული მიზნებისა და ამოცანების მიხედვით:

2018 წელი													
№	საქმიანობის აღწერა	იანვარი	თებერვალ	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბე
1	მოქალაქეების განცხადებების მიღება	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
2	განცხადებების განხილვა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X
3	მოქალაქეებზე დახმარების გაცემა	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X	X

9.პროგრამის ბიუჯეტი:

ა) პროგრამის დაფინანსება წლების მიხედვით.

№	წყაროს დასახელება		2018 წელი	2019 წელი	2020 წელი	სულ
	ძირითადი	ქობულეთის მუნიციპალიტეტის ადგილობრივი ბიუჯეტი	80 300			80 300
	დამატებითი		0			0
	სულ		80 300	0	0	80 300

ბ) პროგრამის ხარჯები ღონისძიებეთა მიხედვით

№	პროგრამით გათვალისწინებული ღონისძიების დასახელება (დეტალური გაშიფრული)	ერთეულის დასახელება	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ღონისძიების სავარაუდო ხარჯი

2018წელი					
I	საქონელი და მომსახურეობა				0
სულ საქონელი და მომსახურეობა					0
II	სოციალური უზრუნველყოფა				
	ყველა ოჯახს მესამე შვილის შეძენაზე ერთჯერადი დახმარება	ოჯახი	130	500	65 000
	მეოთხე შვილის შეძენაზე ერთჯერადი დახმარება	ოჯახი	6	700	4 200
	მეხუთე და მომდევნო შვილის შეძენაზე ერთჯერადი დახმარება	ოჯახი	3	900	2 700
	2017წლის დაუფინანსებელი ვალდებულების დაფინანსება				8 400
სულ სოციალური უზრუნველყოფა					80 300
III	არაფინანსური აქტივები				
	სულ ჯამი				80 300

კატეგორიების მიხედვით ბენეფიციართა დაყოფა საპროგნოზო ხასიათს ატარებს და საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია თანხის გადმოტანა საჭიროების მიხედვით.

10. საანგარიშო პერიოდის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაგეგმილისახელმწიფო შესყიდვები:

№	შესყიდვის ობიექტის	შესყიდვის განხორციელების	შესყიდვის განხორციელების	შესყიდვის დაგეგმილი თანხა	შენიშვნა
1	ყოველი მესამე და მომდევნო ახალშობილზე ერთჯერადი მატერიალური დახმარება.	წლის განმავლობაში	ფულადი დახმარება	80 300	

დამატებითი ინფორმაცია:

პროგრამაში გათვალისწინებული იქნება დახმარების გაწევა იმ ოჯახებზე, სადაც 2017წლის დეკემბრის თვეში დაიბადა მე-3, მე-4 და მომდევნო შვილი და ასევე, იმ ოჯახებზე, რომლებმაც 2017წლის დეკემბრის თვეში მომართა ქობულეთის მუნიციპალიტეტის მერიას მე-3, მე-4 და მომდევნო შვილის დაბადების გამო.

დამტკიცებული ხარჯების კვარტალური დანაწილება

I კვარტალი 29 900 ლარი; IIკვარტალი 21 500 ლარი;

III კვარტალი 21 500 ლარი; IVკვარტალი 7 400 ლარი.

ბ) მატერიალური რესურსის გაცემის სქემა:

ბენეფიციარი მიმართავს მუნიციპალიტეტის მერიას განცხადებით პროგრამით გათვალისწინებული დახმარების მისაღებად. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის ან/და მერის მოადგილის რეზოლუციით შედის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახურში, სადაც განიხილება წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ხდება მათი სისრულეში მოყვანა, რის შემდეგაც სამსახური მიმართავს მერს ერთჯერადი დახმარების გაცემის თაობაზე. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება თანდართულ დოკუმენტაციასთან ერთად იგზავნება საფინანსო სამსახურში დაფინანსების მიზნით.

გ) მოსარგებლეთა შერჩევის წესი:

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე **რეგისტრირებული** ყველა პირი, რომელიც მიეკუთვნება აღნიშნულ კატეგორიას და წარმოადგენს შემდეგ დოკუმენტებს:

1. განცხადება მუნიციპალიტეტის მერის სახელზე;

2. მშობლის პირადობის მოწმობის ასლი;

3. ყველა ბავშვის დაბადების მოწმობის ასლი.

4. იმ შემთხვევაში, თუ ერთ-ერთი მშობელი არ არის რეგისტრირებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ცნობა შესაბამისი მუნიციპალიტეტიდან, რომ ანალოგიური პროგრამით არ უსარგებლია.

შენიშვნა: პროგრამაში გათვალისწინებულია 2017წლის დაუფინანსებელი ვალდებულებების დაფინანსება თანხით 8 400 (რვა ათას ოთხასი) ლარი.